ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 309

"28" ივლისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ლეხ კაჩინსკის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის შალვა დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ.

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ისნის რაიონში, ლეხ კაჩინსკის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომში დაღუპული, 41-ე ბატალიონის მეთაურის, მაიორი შალვა დოლიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ.თბილისის საკრებულოს 2010 წლის 29 სექტემბრის №127 დადგენილება, „ქ.თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, შალვა დოლიძის ქუჩაზე მდებარე სკვერისთვის შალვა დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ".

გ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

შალვა დოლიძის
სკვერი